# იმერეთი

ფასი: წლიურათ 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., თვიურათ 3 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.
განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ. 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 2 საათამდე ღირს 3 მ. 2 საათის შემდეგ 4 მანათი.

პარასკევი 25 ივლისი

მისამართი: ქუთაისი, [illegible] „იმერეთი“ [illegible] თვიდისის ქუჩა, ფირალოვის თამბაქოს ქარხნის პირდაპირ შესახვევში. სახლი ოცხელისა.

ტელეფონი № 4.

№ 114 — ყოველდღიური გაზეთი — წელიწადი მესამე 1914 — № 114



ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## — „იმერეთი“ —

ახალის რედაქციით და თანამშრომლებით.

ხელის მოწერა მიიღება 1914 ლისათვის

**გაზეთის ფასი:**

| | | |
|---|---|---|
| ერთი წლით | . . . . | 7 მანეთი. |
| ნახევარი წლით | . . . . | 4 მანეთი. |
| ერთი თვით | . . . | 3 აბაზი. |
| და ცალკე ნუმრის | . . . | 1 შაური. |

წლიური დასაკვეთიეთაზ ისე ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება ამ სახით: ხელის მოწერის დროს—სამი მანეთი, პირველ მაისს—ორი მანეთი და პირველ ეკენისთვესაც—ორი მანეთი. საზღვარგარეთ გაზეთი წლიურათ ღირს 15 მ. 1/2 წ.—8 მ., თვიურათ 6 აბაზი.

სოფლის მასწავლებლებსა და სოფლის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოებს გაზთის ეთმობათ წლიურათ 6 მ., ნახევარი წლით 3 მანეთად და თვიურათ 3 აბაზეთ. **ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით** редакція „ИМЕРЕТИ“ Гавріилу Ивановичу Дарахвелидзе **სხვა გვარად გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.**

რედაქცია უმორჩილესათ სთხოვს თავის კორესპონდენტებს კორესპონდენციები სწერონ ქაღალდის ცალ გვერდზე, გარკვევით და გაურკვევლად ნაწერი წერილები განუხილავი დარჩება. წვრილმან წერილების გამო რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არა კისრულობს.



## ქ უ თ ა ი ს ი
## პირველი კერძო სამკურნალო
ს პ ე ც ი ა ლ ი ს ტ ი ე ქ ი მ ე ბ ი თ.

**მუდმივი საწოლებით თ. ა. რელიგიონის სახლი თეთრ ხიდთან.**

**ავათმყოფებს მიიღებენ ყოველდღე:**

**დ ი ლ ი თ.**

პრივატ-დოცენტი ხარკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორი **ვ. პ. მოსეშვილი** შინაგანი და ნევრვების.

| | |
|---|---|
| ბ. ა. **მირაქოვი**—ყელის, ცხვირის, ყურისა. . . . . . | 1— 2 |
| გ. **ს. ნადირაძე**.—შინაგანი და ბავშის . . . . . | 10—11 |
| ა. ა. **რელიგიონი**—დოსტაქარი, ქალთა, საბებიო ყოველ დღე . . | 11—2 |
| მ. **დ. ბეთანოვი**.—კანის, ათაშანგი, ვენერ. . . . . . | 12—2 |
| გ. ა. **ჭოდოშვილი**—საბებ., ქალთა და შინაგ. . . . . . | 12¹/₂ 2მ |

**ს ა ღ ა მ ო თ.**

| | |
|---|---|
| გ. ლ. **ქორქაშვილი**—თვალის ხუთშაბათობით . . . . | 4¹/₂—5¹/₂ |
| გ. ა. **ჭოდოშვილი**—საბებიო, ქალთა და შინაგ. . . . | 5¹/₂—6/ |

სამკურნალოსთან მოწყობილია საქ.—საანალიზო კაბინეტი: სისხლის, შარდის, ნახველისა და სხვ. შესამოწმებლათ. ძიძის შემოწმება, ყვავილის აცრა, 606—914 შესხმა კონსულტატიურათ. არის ცალკე ოთახები მძიმე ავათმყოფებისა და მშობიარეთათვის. რჩევა 10 შაური, აპერაცია და კონსულტაცია მორიგებით. საწოლები 3 მანეთიდან და ამაზე მეტათ. ექიმთა მუდმივი მორიგობა. ტელეფონი № 53

სამკურნალოს დირექტორი—გ. ა. ჭოდოშვილი



კონსტანტინე ივ. ძის ოცხელისა და ამხ.

✖ ✖ **წიგნის მაღაზიის ახალი გამოცემა** ✖ ✖

იბეჭდება და მალე გამოვა გასაყიდათ:

არითმეტიკული ამოცანებისა და რიცხვითი სავარჯიშოების **კრებული**

პირველ დაწყებითი შკოლებისათვის, შედგენილი ქუთაისის საეზნაურო შკოლის მასწავლებელთა მიერ.

კრებული დასურათებულია და ღირს 7 შაურად.



## ქუთაისში.
ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

**საბუღალტერო კურსები**

## გ. გ. გიგინეიშვილისა

კურსებზე მსმენელები მიიღება ოთხი კლასის მოწმობით ანუ შესაფერი გამოცდის შემდეგ რუსულსა და ანგარიში.

კურსი ათ თვიანია. სწავლის ფული ასი მან. სწავლა კურსებზე იწყება 15 ეკენისთვიდან. თხოვნები მიიღება კურსების კანცელარიაში. (თფილისის ქუჩა).

კურსების გამგე: **გ. გ. გიგინეიშვილი.**



ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოების

## ზუგდიდის განყოფილება

იწვევს ზუგდიდის პირველდაწყებითი სკოლისათვის მასწავლებელს, რომლისათვის სავალდებულოა ქართული სიმღერა გალობის ცოდნა. ჯამაგირი ექნება წელიწადში 400 მან. მასთან ბინა, განათება, გათბობა და მოსამსახურე. თხოვნა უნდა გამოიგზავნოს დ. ზუგდიდში გამგეობის სახელზე.



ქ. ქუთაისში
კ ბ ი ლ ი ს ე ქ ი მ ი

## ს. ა. ცეიტლინი.

კბილის და პირის ავათმყოფობა. ხელოვნური კბილების გაკეთება.

მიიღებს ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და 4—7 საათ. საღ. ბალახვანის ქუჩა. სახაზინო პალატის გვერდით.

**ტელეფონი 153.**



ექიმი **ა. მ. ასათიანი** ღებულობს ავათმყოფებს. **ქალის, ვენერიული** (სიფილისი) და შინაგანის. საშარდე ბუშტის გაშინჯვა ელექტრონის შემწეობით (ცისტოსკოპით).



ვ. უნივერსიტეტის მედიცინის

ექიმი **ვ. ი. კაკიტელაშვილი** საზღვარგარეთიდან დაბრუნდა და განაახლა (შინაგანი, ქალთა და საშარდე სნეულებიანი) ავათმყოფების მიღება. საგარდე მილისა და ბუშტის ელექტრონით შანათება (ცისტოსკოპით) ათაშანგის წამლობა 606—914, განსაკუთრებული ელექტრონის სინათლით სამკურნალო კაბინეტი. ელექტრონის აბაზანები. მიღება დილის 9—12 საათ. და საღ. 5—7 საათ.

**მისამართი:** ქარვასლისა და პუშკინის ქუჩის კუთხე, პუშკინის ფოტოგრაფიის პირდაპირ.



ექიმმა **გ. ალ'შიბაიამ** საგარაკოთ გამგზავრების გამო შესწყვიტა ავათმყოფების მიღება 1 აგვისტომდე.



ექიმი **მ. დ. ბეთანოვი** იღებს **კანისა, ვენერიული, და სქესობრივი უძლურებით ავადმყოფთ** დილის 9—12 ს., საღამოს 5—8 ს. აფთიაქის ქუჩა № 24 საკუთ. სახლი.



დოკტორი მედიცინისა, პრივატ-დოცენტი **ვ. პ. მოსეშვილი** ჩამოვიდა და ღებულობს შინაგან და ნერვების ავათმყოფებით სნეულებს დილის 8 ს.—12 ს., ნაშუადღევის 5 ს.—8 საათამდი.

გოსპიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი № 6.



ექიმი **ა. ტყეშელაშვილი** ღებულობს ავათმყოფს (ვენერიული, კანის, & სიფილისისა) იკვლევს **ვასსერმანის მეთოდით სისხლს.** დილით 9—1, საღამოთი 6—8 ვიტუშინსკის სახლი, რიონის პირათ პუშკინის ქუჩიდან შესახვევი.



ექიმმა **ი. ჩარექოვმა** შესწყვიტა ავათმყოფების მიღება ექვს აგვისტომდის.



ექიმი **ი. ა. ცეხანოვსკი** გადავიდა ძველი ბინიდან ივანოვის ქ., შავი ქვის საბჭოს ზევით. ღებულობს ვენერიულ, საშარდე, სიფილისიან და სხვა სასქესო ავათმყოფებს. მიიღება ავათმყოფები დილით 10—1 ს., საღ. 5—8 საათ.



ექიმის იკ. ბოკერიას

## ს ა ა ვ ა თ მ ყ ო ფ ო

გადავიდა ახალ ბინაზე წითელ ხიდთან, მიხეილის ქუჩაზე, კლუბის პირდაპირ. დასაწოლ ავათმყოფებს ღებულობენ ყოველ დროს.



## შექსპირი ქართულად!
გამოცემა **ივანე მაჩაბლის** თარგმანებისა.

**მიიღება ხელის მოწერა ივ. მაჩაბლის მიერ ნათარგმნ**

## შ ე ქ ს პ ი რ ი ს

რვა ტრაღედიის გამოცემაზე: (ჰამლეტი, ოტელო, მეფე ლირი, მაკბეტი იულიოს კეისარი, ანტონიუს და კლეოპატრა, კორიოლანოს და რიჩარდ მესამე). - გამოცემა იქნება ერთ წიგნად და შეიცავს ათასამდი გვერდს, დიდი ფორმატისას. გამოსცემას დაერთვის ბიოგრაფიები შექსპირისა და ივანე მაჩაბლისა და მათივე სურათები. ფასი ხელის მოწერით: 3 მან. შემდეგ ფასი გადიდებული იქნება. ვისთვისაც ერთად ფასის გადახდა საძნელოა,—მათთვის ხელის მოწერა განაწილებულია სამ ვადად: **პირველი** შემოსატანი—1 მან. მეორე—პირველ ნოემბერს—1 მ., და მესამე—1 მ. 7 იანვარს 1915 წელს.

წიგნი დარიგდება 1915 წელს თებერვლის განმავლობაში. ხელის მოწერა მიიღება **თფილისში**: ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში და გამომცემლის საკუთარ ბინაზე (ოლგას ქუჩაზე, 52), და **ქუთაისში** მთავრიშვილისა და ოცხელის წიგნის მაღაზიებში და ისიდორე კვიცარიძის კანტორა „იმერეთ“-ში გამომცემელი **კნ. ანასტასია ალექს. ასული მაჩაბლისა**


## რუსეთ-გერმანიისა და ავსტრია-სერბიის ომი.

23 ივლისი.

**ლონდონი.** სამხედრო სამინისტროში გაძლიერებული მოქმედებაა. უმთავრეს სამხედრო სასამართლოში ბევრი დაი მოწყალებისა მიიწვიეს. ფელდმარშალმა ინახულა სამხედრო სამინისტრო; ბევრი სათადადარიგო ჯარი ფლოტისა წავიდა დანიშნულ ადგილას.

**ალექსანდრია.** ბრიტანეთის მთავრობამ ეგვიპტის ზღვის ნაპირა საზღვრების გასამაგრებლათ განსაკუთრებული ზომები მიიღო.

**პარიზი.** ლიუკსენბურგის მინისტრ-პრეზიდენტმა, გერმანიის მიერ ლიუკსენბურგის ნეიტრალიტეტის დარღვევისათვის, პროტესტი განაცხადა.

**სუეცი.** სუეცის არხის დასაცავათ აქ საოკუპაციო ჯარი მოვიდა.

**ლონდონი.** მეფის თავჯდომარეობით მინისტრთა საბჭოს კრება მოხდა.

**ბერნი.** შვეიცარიის რწმუნებულს პეტერბურგში მინდობილი აქვს განუცხადოს რუსეთის მთავრობას, რომ შვეიცარიის მთავრობამ გადასწყვიტა, თავისი ტერიტორიის ხელშეუხლებლობისთვისა და სრული ნეიტრალიტეტის დასაცავათ დღევანდელ ომში, საყოველთაო მობილიზაცია მოახდინოს.

**სოფია.** საერო კრება. გარეშე საქმეთა მინისტრის ხარჯაღრიცხვაა. **გეშოვმა** განაცხადა, რომ მისი პარტია მთავრობას სავსებით მხარს დაუჭერს თუ კაბინეთი, როგორც გამოაცხადა, მტკიცეთ დაიცავს ნეიტრელიტეტსო მალინოვმა, დემოკრატიული პარტიის მამათმთავარმა, განაცხადა, რომ ხელს გაუწვდის მთავრობას და დახმარებას აღმოუჩენს საერთო საქმეში. ხმამაღლა აცხადებს თავის რწმენას ბულგარეთის ხალხის ბრწყინვალე მომავლის შესახებ.

მინისტრთა საბჭოს თავჯდომარემ, **რადოსლავოვმა** წაიკითხა დეკლარაცია, სადაც ხელმეორეთ ამტკიცებს, რომ ბულგარეთი მტკიცეთ დაიცავს ნეიტრელიტეტს საქმის გართულებამდი. შეეხო რა ბულგარეთ-რუმინიის საზღვრებზე ახლახან მომხდარ ინციდენტებს, მან განაცხადა: ჩვენ ორ სახელმწიფოს შორის მომხდარი გაუგებრობა საბოლოოთ გამორკვეული და მოწესრიგებულია; ბულგარეთისა და ოსმალეთის ურთიერთ შორის დამოკიდებულობა დიდათ მეგობრულია საბერძნეთთან მეგობრული დამოკიდებულობა კი აღდგენილია. ამგვარათ ბულგარეთი მეგობრული განწყობილებითაა შეკავშირებული თავის მეზობლებთან.

**პარიზი.** ჰავას ბრიუსელიდან ატყობინებენ: გერმანიის მთავრობამ ბელგიის მთავრობას ულტიმატუმი წარუდგინა, რითაც მოითხოვს მისგან თავის სამხედრო ოპერაციების შესამსუბუქებლათ ბელგიის ტერიტორიის დათმობას. ბელგიის მთავრობამ ეს მოთხოვნა აღშფოთებით უარყო.

**ლონდონი.** თემთა პალატა სხდომის განახლება. **გრეიმ** განაცხადა, რომ სხდომის შეწყვეტის დროს ბელგიის მისიისაგან ცნობა მოვიდა გერმანიის მთავრობის მიერ ბელგიის მთავრობისადმი ნოტის წარდგენის შესახებ. ნოტა მოითხოვს ბელგიისაგან მეგობრული ნეიტრალიტეტის დაცვას და ბელგიის ტერიტორიაზე გერმანიის ჯარის თავისუფალათ გატარებას, სამაგიეროთ გერმანია პირდება დამოუკიდებლობას ზავის ჩამოგდების შემდეგ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ემუქრება მტრათ ჩაგთვლითო (გაისმის აღშფოთების ხმები). საპასუხო ვადათ 12 საათს აძლევს. ბელგიამ უპასუხა: ბელგიის ნეიტრალიტეტის დარღვევა მთელი ერის უფლებებზე იერიშის მიტანას უდრისო (ხმამაღალი მოწონების ხმები ისმის). გერმანიის მოთხოვნის მიღება ბელგიისაგან იქნება ერის თავმოყვარეობისა და მოვალეობათა გათელვა.

ბელგიამ გადასწყვიტა შეებრძოლოს გერმანიას მთელი თავისი ძალღონით. ბრიტანეთის მთავრობა დიდი ყურადღებით მოეპყრა ბელგიის განზრახვას და მე თავს ვიკავებ რაიმე განმარტება მივსცე ჩვენი მთავრობის გადაწვეტილებას.

**პეტერბურგი. უმაღლესი ბრძანება უმართებელეს სენატს.**

(დასასრული). 1012-ის (ნიშნით 4-ის) მუხლის ძალით იმ პირს, რომელიც მობილიზაციის გამოცხადებისა და ომის დროს თავის დროზე არ წარუდგენს სამხედრო ცენზურას განსაზღვრულ რიცხვს ეგზემპლიარებისას მის მიერ დროგამოშვებით თუ ერთდროულ გამოცემათა, ჯარიმათ გადახდება ხუთი თუმნიდან 500 მანეთამდი. 1213 მუხლს (ნიშნით ოთხი) სისხლის სამართლის დებულებისას (კრებული კან. ტ. 16, ნაწ. 1 განგრძ. 1912 წლ.) დაემატოს შემდეგი შინაარსის შენიშვნა: ის სასჯელი, რომელიც სასჯელთა დებულების 275 (ნიშნით 2) და 1012) ნიშნით 4) სტატიებში არის აღნიშნული, მიეცემა აგრეთვე სამხედრო ცენზურისაგან. უმართებელესი სენატი მოვალეცაა დაუყონებლივ აღასრულოს ეს ბრძანება და მოახდინოს შესაფერი განკარგულება. დედანს **მისი იმპერატორებითი** უმაღლესობის ხელით აწერია: „**ნიკოლოზი**“.

პეტერგოფი, 20 ივლისი 1914 წ.

ხელს აწერს მინისტრთა საბჭოს თავჯდომარე სტატს სეკრეტარი გორემიკინი.

აკრძალულ გაზეთ „რეჩი“-ს გამომცემლებმა სთვლიან რა თავის მამულიშვილურ მოვალეობათ ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით შეაერთონ მთელი რუსეთის საზოგადოება განურჩევლათ მიმართულებისა, რათა ერთსულათა დ ერთგულათ დაიცვან სამშობლო თვისი, მისი პატივი დ ღირსება, ამ განსაცდელის დროს — მიმართეს მის იმპერატორობითი უმაღლესობას, უავგუსტოეს მთავარ სარდალს, რათა მან იშუამდგომლოს **მის იმპერატორობითი** უდიდებულესობის წინაშე, რათა **მან** კეთილინებოს და ნება დართოს გაზეთის გამოცემისა, ვინაიდან ამ ისტორიულ დღეებში ყოველი გაზეთი მოვალეა შეასრულოს თავისი მოვალეობა ხელმწიფისა და რუსეთის წინაშე. მათმა უდიდებულესობამ კეთილინება და ეს შუამდგომლობა შეიწყნარა.

ხელმწიფე იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასულმა კეთილინება და ბრძანა, ახლო მომავალში გაიხსნას საწყობი ნივთებისა და ფულის მოსაგროვებლათ დაჭრილ და ავათმყოფ ჯარის კაცთათვის მოსკოვში. ასეთივე საწყობი გაიხსნება 23 ივლისს საზამთრო სასახლეში. შტაბმეისტერმა თავ. აბა-მელიქ-ლაზარევმა 100,000 მანეთი მიუძღვნა მის უდიდებულესობას ხელმწიფე იმპერატრიცას, რათა მან ეს ფული მოახმაროს დაჭრილ მეომრებსა და მათ ოჯახებს.

სამხედრო ბევრის გამგეობა აცხადებს, რომ, თანახმათ 1912 წლის 25 ივლისის კანონისა, სამსახურში გაწვეული სალდათებისა და რატნიკების ოჯახებს, ხაზინიდან დახმარება მიეცემათო.

უმართებულესმა სენატმა 21 ივლისის თავის სხდომაზე, განიხილა რა უმაღლესი მანიფესტი ომის გამოცხადების შესახებ, დაადგინა **მის** იმპერატორობითი უდიდებულესობას მიართვას შემდეგი უქვეშევრდომილესი ადრესი: **თქვენო იმპერატორობითი უდიდებულესობავ!** როგორც ძველათ, ისე დღესაც, არა მოსახვეჭათ ქვეყნიურისა სიამისა, არამედ ბრძანებითა თავისის ხელმწიფისათა კვლავ აღსდგა რუსეთის ძლიერი სახელმწიფო შემუსვრად მტერთა; კვალად იღვრების სისხლი ჩვენთა უანამოძმეთა და კადნიერებით გამოწვეულ იქნა მთელი სლავიანობა. ისტორია დააფასებს ფასდაუდებელ შრომასა თქვენსა და თქვენის ხელმწიფებრივი მშობლისას მშვიდობიანობის საქმეში. მაგრამ ყველაფერს აქვს საზღვარი: რუსეთი არ გადაუხვევს უზენაესს განგებისაგან აღნიშნულ თავის წმინდა გზას; როგორც ძველათ, თქვენის უდიდებულესობის წინაპართა დროს, ისე დღესაც ღრმა რწმენით აღფრთოვანებული წმიდა რუსეთი მახვილით ხელში აღსდგება მტერთა ზედა დასაცავათ უძველესის ანდერძისა. აღვავლენთ მხურვალესა ლოცვასა ჩვენსა წინაშეუზე ნაესის საკურთხეველისა და ვვედრით უფალს, რათა მოგანიჭოს თქვენ იმპერატორებითი უმაღლესობასა და თქვენს უავგუსტოესს სახლობას დღეგრძელობა და ბედნიერება, ხოლო რუსეთის მხედრობას-კი ბრწყინვალე გამარჯვება. უმართებულესმა სენატმა, თავის არაჩვეულებრივ სხდომაზე, მოისმინა უმაღლესი მანიფესტი ომის გამოცხადების რა შესახებ გადასწყვიტა უქვეშევრდომილესათ განართხოს თქვენს ფერხთა წინაშე, დიდო მეფეო და თვითმპყრობელო რუსეთისაო, უსაზღვრო გრძნობანი თავისი სიყვარულისა თქვენის უმაღლესის პიროვნებისადმი მზადყოფად ყოველივე მსხვერპლისა სადიდებლათ და საბედნიეროთ რუსეთისა.

**კოპენჰაგენი.** გააგაში მყოფმა გერმანიის ელჩმა დაბეჯითებით განაცხადა, რომ იგი არ წარუდგენს ნიდერლანდებს არავითარ ულტიმატუმს და არც დაარღვევს ნეიტრალიტეტს, თუ თვით ნიდერლანდები მტკიცეთ დაიცავენ ამ ნეიტრალიტეტს.

**ლონდონი.** ჯარის მობილიზაცია უკვე გამოცხადდა.

23 ივლისი.

**პეტერბურგი.** ომში მიმავალ ჯარს ყველგან დიდის აღფრთოვანებით ეგებებიან და დიდებული ზეიმით აცილებენ. ამასთანავე მებრძოლთადმი მიმართულ გზასამშვიდობო სიტყვებში გამოსთქვამენ იმ იმედს, რომ მეომარნი არ დაივიწყებენ სახელოვან მამა-პაპათაგან გადმონაცემ ანდერძს, დასდებენ თავსა თვისსა მეფისა და სამშობლოსათვის და მით უფრო აღამაღლებენ სახელსა და დიდებას რუსეთის ხმლისას. ასეთ სიტყვებს მეომრები დიდის გატაცებით ისმენენ და ეტყობათ, რომ მზათ არიან თავისის ძვლებით მოჰფინონ დიადი რუსეთის ველ-მინდორი, ოღონც კი სამშობლოს ნურა დაუშავდება რა. ასეთი გულისთქმისანი არიან არა მარტო რუსი-მეომრები და რუსის ხალხი, არამედ უცხო ტომნიც. მაგალითად, ვენდენიდან აუწყებენ სააგენტოს, რომ ომის გამოცხადებამ აღაშფოთა ლატიშელები და მათ გულისწყრომას გერმანიისადმი საზღვარი არა აქვსო.

**ლონდონი.** თემთა პალატა ხალხით არის გაჭედილი. მინისტრთა თითოეული გამოსვლა დაუსრულებელ ტაშისცემას იწვევს. ჩერჩილისს გამოსვლას მთელი პალატა მქუხარე ტაშით მიეგება, ტაშს მოწინააღმდეგენიც კი უკრავდენ. გრეიმ სთხოვა პალატას, განსახილველ საკითხებს შეხედონ დიდი ბრიტანეთის ინტერესებისა, სახელისა და სამშობლოსადმი მოვალეობის თვალსაზრისით. როცა საამისო საბუთები გამოქვეყნდებაო — სთქვა გრეიმ, — ყველა დაინახავს, როგორის გულწრფელობითა და გატაცებით ცდილობდა ინგლისი, რომ მშვიდობიანობა არ დარღვეულიყო. გუშინდლამდი არავისთვის არავითარი დაპირება არ მიგვიცია, გარეშე დიპლომატიურ დახმარებისა. როდესაც (?) კონფერენციაზე შემეკითხენ: იარაღით ხომ არ დაგვეხმარებითო, მე ვუპასუხე:—ვერაფერს დაგპირდებით. ვიდრე ინგლისის საზოგადოებრივი აზრი ცხადლივ მხარს არ დაგვიჭერს, თუმცა საფრანგეთისა და გერმანიის ელჩებს კი ვუთხარ, რომ, თუ ვინიცობაა, საფრანგეთს ომი ძალით მოახვიეს თავზე, საზოგადოებრივი აზრი საფრანგეთს მიემხრობა-მეთქი. დღევანდელი კრიზისი და გაჭივრება გამოწ ეულიაო—განაგრძო შემდეგ გრეიმ— იმგვარ საკითხების წამოყენებით, რომელიც წინათ საფრანგეთს არ ეხებოდა და ეს უკანასკნელი იძულებით ჩაითრიეს, ვინაიდან შეპირებისა და პატიოსან სიტყვის დაცვა იყო საჭირო. ჩვენ იმ თავითვე და დიდიხანიცაა, რაც საფრანგეთსა ვმეგობრობთ. დაე, თითოეულმა ჩვენთაგანმა ჩაიხედოს თავის გულში, შეამოწმოს თავისი საკუთარი გრძნობანი და იპოვნის კიდეც საზღვარს ყოველგვარ შეპირებისას, თუ დიადი ჩვენი სახელმწიფო ომის დროს ყოველთვის განზე იდგება, როგორცა სდგას ახლა, მაშინ იმ სახელმწიფოს შეძლება აღარ ექნება თავის ინტერესები ბოლომდი დაიცვას. მე ჯერ კიდევ არა მჯერა სინამდვილე იმ ამბებისა, რომელთა შესახებაც ბელგიიდან იუწყებიან, მაგრამ თუ ყველა ის, რასაც გვატყობინებენ, მართალი გამოდგა, მაშინ დიდი ბრიტანეთი მოვალეა სათავეშივე მოსპოს შედეგები ამგვარის ფაქტებისა. ხოლო თუ ეს არ გვინდა, ჩვენ მზათ უნდა ვიყოთ ამ შედეგებთან პირისპირ შესაჯახებლათ. მაშინ ჩვენ იძულებული ვიქნებით მოვიკრიბოთ მთელი ჩვენი ძალღონე თავის დასაცავათ, თუმცა ჯერ არ ვიცით როდის დაგვიდგება ასეთი მომენტი. როდესაც ჩვენი ქვეყანა დაინახავს, რომ თავს ზევით გზა აღარა აქვს, დაასრულა სიტყვა გრეიმ—მაშინ ქვეყანა იგი მხარს დაუჭერს თავის მთავრობის მტკიცე გადაწყვეტილებასო“. (დიდი მოწონება), გრეის შემდეგ ილაპარაკა ბონარ ლოუმ და გატაცებით ამტკიცებდა, რომ მთავრობას მხარი უნდა დავუჭიროთო. ამ აზრისა არისო — სთქვა ლოუმ - ათზე მეტი ჩვენი ახალშენიცაო, რედმონდი არწმუნებს პალატას, რომ ირლანდიის დემოკრატია მხარდამხარ ივლის ინგლისის ხალხთანაო და განაცხადა: მთავრობას შეუძლია მთელი ჯარიც კი გაიყვანოს ირლანდიიდან, ვინაიდან ირლანდიის მამულიშვილები (ნაციონალისტები) და ულსტერები თვითვე დაიცავენ თავის ქვეყანასაო. სხდომა შესწყდა საღამოს შვიდ საათამდი.

**ლონდონი.** ჩრდილო ზღვიდან გაიტანეს ნავ-კანდელები. (Пловучій маякъ).

საღამოს გაზეთები იუწყებიან, რომ საფრანგეთის სახელოვანი ავიატორი გარრო, რომელმაც გაანადგურა გერმანიის ცეპელინი (საფრენი მანქანა), თვითონაც დაიღუპაო.

24 ივლისი.

**კოპენჰაგენი.** გერმანიის 5 მილიარდიან სესხის გასანაღდებლათ აზრათა აქვთ გამოსცენ თამასუქები და ხაზინის მოწმობები გერმანიისა, ანუ უცხო სახელმწიფოთა ვალიუტის აღნიშვნით, რომელთა განაღდებაც საზღვარგარეთ შეიძლებოდეს.

რეიხსტაგში აგრეთვე შეიტანეს კანონპროექტი ფულის შესახებ კანონის გამოცვლისა, რომლის აზრითაც ოქროს მაგივრათ უნდა გაიყონ საიმპერიო ბანკნოტები. ამას გარდა მთავრობა ნებასა თხოულობს გამონახოს წყარო უმთავრესს საიმპერიო კასის შესავსებლათ ვექსილების გამოცემით.

**საგანგებო დეპეშები.** ბერლინიდან იუწყებიან, რომ ინგლისის ელჩმა ინახულა გარეშე საქმეთა სამინისტრო, რათა აუწყოს ომის გამოცხადება და მოითხოვოს პასპორტები.

რუსეთის ელჩის ბერლინიდან წასვლის დროს საელჩოს შენობასთან აუარებელმა ბრბომ მოიყარა თავი. ელჩს გაჰყვა ცხენოსანი პოლიცია. იმათ, ვინც ავტომობილებით გააცილა ელჩი, დაბრუნებისას ბრბომ შეურაცხყოფა მიაყენა სიტყვითა და საქმით.

**ლონდონი.** ბერლინიდან იუწყებიან, რომ დღეს სასახლის თეთრ დარბაზში რეიხსტაგი გაიხსნა. დაესწრენ იმპერატორი, იმპერატრიცა, პრინცები, პრინცესები, დიპლომატები და, სხვათა შორის, ავსტრიის ელჩიც.

იმპერატორმა წარმოსთქვა სიტყვა. დამსწრეთ იგალობეს საერო ჰიმნი და იძახდენ ვაშას.

„რეიტერის სააგენტოს“ აუწყებენ ბერლინიდან, რომ მემელის გარნიზონის ერთმა ნაწილმა უკუაგდო კროტინგენიდან მოსული მოსაზღვრე რაზმი მტრებისაო.

**კოპენჰაგენი.** მიუნხენში მყოფს საფრანგეთის ელჩს პასპორტი ჩააბარეს.

**ქრისტიანია.** ნორვეგიის მთავრობამ დაადგინა წმინდათ დაიცვას ნეიტრალიტეტი.

**ვარშავა.** ჩვენმა რაზმებმა, რომელთაც უკან დასწიეს მტერი, გადალახეს საზღვრები ლიკ ბიალას ფრონტთან და 15 ვერსი გაიარეს გერმანიის მიწაწყალზე, დაიკავეს და შემდეგ დასწვეს გერმანიის რკინის გზის სადგურები ბერჟემენი და ბიალა. ამ გვარათ რკინის გზით მიმოსვლა ლიკს და იოჰანესბურგს შუა შეწყვეტილია. მთელი ფრონტის სიგრძეზე მტერი უკან იხევს და გზადაგზა [illegible] სწვავს თავის სოფლებს.

**პარიზი.** 17 [illegible] საფრანგეთში უნდოდათ გადასვლა, გერმანელებმა დაიჭირეს და ნიუგენზენში დახვრიტეს.

**ლონდონი.** ოფიციალურათ იუწყებიან: გერმანელები ძალით შევიდენ ბელგიაში. ადმირალი სერ ჯონ ჯელიკო დაინიშნა ინგლისის ფლოტისა და მეტროპოლიის მთავარ სარდლათ.

**პარიზი.** გერმანიამ განუცხადა ბელგიის მთავრობას, რომ ბელგიის პასუხს ულტიმატუმის შესახებ ანგარიშს არ გაუწევს.

**გააგა.** პალატამ ომის გამო უკამათოთ მიიღო განსაკუთრებული კანონპროექტები. მემარჯვენე და მემარცხენე პარტიათა ლიდერებმა მთავრობას ნდობა გამოუცხადეს და მოიწონეს მისი მოქმედება. სოციალისტებმა განაცხადეს: სამშობლოს განსაცდელის დროს მამულიშვილური გრძნობები გვავალებს დავივიწყოთ პარტიობა. ზედა პალატამ აგრეთვე მიიღო ყველა კანონპროექტი. ორივე პალატა დათხოვნილია განუსაზღვრელ დრომდი.

**ტოკიო.** რუსის საელჩოში იაპონელები ღრმა რწმენას გამოსთქვამენ, რომ სიმართლისთვის მებრძოლი რუსეთი უთუოდ გაიმარჯვებსო.

**ლონდონი.** იუწყებიან, რომ ნიუიორკის გემი კრონპრინცესსა ცეცილია, რომელიც შენიშნეს ისლანდიის ნაპირებზე, შეეშინდა რა დატყვევებისა, შეათეთრა გემის წინა პირი და იალქნები, შავათ შეღებეს გემის მილები და მშვიდობიანათ დაბრუნდა ბარგარებში.

**ვლადივოსტოკი.** გაიმართა დიდებული მანიფესტაცია, რომელშიც მონაწილეობას იღებდენ იაპონელები და გაიძახოდენ: „გაუმარჯოს რუსეთს“.

**პეტერბურგი.** გაზეთები იუწყებიან, რუსეთს მომავალი განათლების მინისტრი კასსო და სხვა 25 ოფიციალური პირი გერმანიაში დააკავესო.

# ომის დღიური.

ამ სათაურით, დღეიდან ჩვენ შევუდგებით იმ ცნობათა სისტემატიურ ბეჭდას, რომელიც მოდის ბრძოლის ველიდგან. რა ხდება ამ ჟამათ ბრძოლის ველზე, ამის შესახებ ცნობები ნაკლებ გვაქვს. მიუხედავად ამისა, ომის დასაწყისი შემდეგ ნაირად შევგიძლიან წარმოვიდგინოთ:

## რუსეთ-გერმანიის ომი.

თანახმად გენერალურ შტაბის მთავარ სამმართველოს ცნობისა, რუსეთ-გერმა-

# კათოლიკე ქართველები და სომეხი ტერ-აბრამიანი.

ვირსაც თავისი არსებობის ნამდვილი შემეცნება აქვს, ვისაც სწამს სამშობლო და თავის პიროვნულ თუ ეროვნულ უფლებათა დაცვა სურს, მას არ შეუძლია ხმა არ ამოიღოს სამცხე-საათაბაგოს კათოლიკე ქართველთა დიდიხნის აუტანელ მდგომარეობაზე და არ თანაუგრძნოს „სახალხო გაზეთის“ 1184-ე ნუმერში მოთავსებულ ახალციხის კათოლიკეთა საყურადღებო პროტესტს.

სამცხე-საათაბაგოში სწავლა-განათლება, ეროვნული თვითშემეცნება იმდენათ არ არის განვითარებული, როგორც საქართველოს დანარჩენ მაზრებში. ამ კუთხეში ნაკლებათ შეხვდებით, საუბედუროთ, ჟურნალ-გაზეთებს, რომელთაც შეეძლოთ ხალხის გამოღვიძება; წინააღმდეგ შესაფერ ყურადღებასაც არ ვაქცევდით მას, თითქმის დავიწყებული იყო იგი, როდესაც სომხობა დიდიხნიდან ენერგიულათ შრომობდა. ნაყოფი ასეთი უყურადღებობისა, რასაკვირველია, ამ დიდებულ მაზრის დაქვეითება და ქართველების (კათოლიკების) აბუჩათ აგდება, დღეს უკვე ყველასათვის ცხადია.

აქ უნდა გამოვტყდეთ, სამცხე-საათაბაგოს ქართველთა საკითხი ზოგიერთთათვის იმდენათ გამოუკვლეველია, რომ კათოლიკე ქართველებს ქართველებათაც არ აღიარებენ, სომხებს ეძახიან იმ დიდებულ მესხთა ჩამომავლობას, რომელთაც რუსთაველი წარმოშობეს და თავისუფალი საქართველოს დროშა მრავალი საუკუნების განმავლობაში პატივით დაიცვეს. იმდენათ ეროვნული გრძნობა შემცირდა ჩვენში, იმდენათ დავივიწყეთ ჩვენი წარსული და დავუძლურდით, რომ ჯავახეთისა და ახალციხის მაზრები შემოსეულ სომხების ტერიტორიათ უნდათ ჩარიცხონ. მაგრამ ნათქვამია: „**დროჲნი იცვლებიან**“, დროა გონს მოვიდეთ. დღეს სამცხე-საათაბაგოს მკვიდრნი კათოლიკე ქართველნი ცოტათი მაინც იღვიძებენ და ცხოვრების ასპარეზზე გამოდიან. აუცილებელი საჭიროებაა ხელი შევუწყოთ ამ მოძრაობას და დავაკვალოთ იგი. არ კმარა ამ საკითხზე დროებითი სჯა-ბაასი გაზეთების საშუალებით, საჭიროა შეუწყვეტელი წერა და განსაკუთრებით მოქმედება.

ახალციხის კათოლიკეთა ერთ ჯგუფს პროტესტანტობის მიღება განუზრახავთ. ეს მოსაზრება არ იქნება გამკვეთი საშუალება კათოლიკე ქართველთა საკითხის გამოკვლევისათვის და მათი ეროვნული მიზნის განხორციელებისათვის. რამდენათაც ვიცნობ სამცხე-საათაბაგოს კათოლიკეთა რწმენასა და მათ მომზადებას, მასთან რომის **აზრს** და **პოლიტიკურ მოქმედებას**, ვურჩევ კათოლიკე ქართველებს სხვა მოსაზრებასა და მოქმედებას დაადგნენ. სომხებს ნება აქვთ სომხურათ ილოცონ და თავისი ზნე ჩვეულება შეინახონ; ქართველებსაც შეუძლიათ კანონიერათ მსგავსი უფლებანი აღიდგინონ. რუსეთის მთავრობას საწინააღმდეგო არაფერი ექნება. ამასთან რომის წეს-წყობილობა და განსაკუთრებით პაპი ლეონ XIII-ის კანონები სრულ უფლებას აძლევენ აღმოსავლეთის ერებს მოითხოვონ და მიიღონ თავისი ეროვნული წესი (ტიპიკონი). ამაში ვერც ერთი სასულიერო პირი ცხადათ ვერ აეწინააღმდეგება. მაგრამ, თუ კათოლიკე ქართველებს სურთ ლათინური წესი, ან თუ ჯერჯერობით ლათინური წესის მეტი არ შეუძლიათ მიიღონ, რათა სომხურ წესს დააწიონ თავი, ამასაც ვერავინ დაუშლის, რადგან კანონია: როცა აღმოსავლეთელი თავის წესზე არ რჩება ან ვერ დარჩება, მაშინ ნება აქვს აირჩიოს, რომელიც სურს. მხოლოდ არ დავივიწყოთ, რომი აღმოსავლეთლებს გალათინების ნებას ძრიელ ძნელათ აძლევს, რათა გალათინება არ დასწამონ. ესევე მოსაზრებაა, რომელიც აჩერებს რომს კათოლიკე ქართველების შესახებ, რადგან, როგორც შემდეგ ვნახავთ, აბრამიანი სწერს რომში, ლათინური წესი არ უნდა მისცეთო, რადგან გალათინება იქნებაო და სომხობა, რუსობა თუ მთელი აღმოსავლეთის ერები ვატიკანის წინააღმდეგ ამხედრდებიან და დაიწყებენ ყვირილსაო. აგერ აბრამიანისაგან წამოყენებული ნასკვი, რომლის გახსნაც რომს უძნელდება და რითაც აბრამიანი ოსტატურათ სარგებლობს. საკითხი ცხადია: კათოლიკეთათვის ქართულ ენაზე წირვა-ლოცვა შეიძლება თუ არა? თუ შეიძლება და აბრამიანი ჩუმ ძალებს არ აამხედრებს ამის სისრულეში მოყვანის წინააღმდეგ, საკითხი მალე გამოირკვევა და კეთილად დაბოლავდება, მაშინ ლათინური წესი უნდა მიიღონ. ამიტომ საჭიროა შესდგეს საჩქაროთ კომისია, გამოიძიოს საკითხი და შემდეგ ცნობებით გაგზავნოს წარმომადგენელნი რომში, რომელნიც პირდაპირ პაპი პიო მეათეს ინახულებენ. ამის დაყოვნება და სხვა საშუალების მიმართვა საკითხს ვერ გამოარკვევს და რომელიმე ცდას სასურველი ნაყოფი არ ექნება შედეგათ. რომს სარწმუნოების გამოცვლის მუქარა ვერ შესძრავს; პირიქით, ჩვენი მტრები ისარგებლებენ, როგორც აბრიამიანის წერილში დაინახავს მკითხველნი, რათა უფრო უყურადღებოთ დასტოვონ კათოლიკე-ქართველები. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ეს ასედაც მოხდება, რამდენადაც ვიცნობ რომის მოქმედებას და დღევანდელი ცხოვრების პირობებს. კათოლიკე ქართველთა მასსა ძნელათ უარჰყოფს სარწმუნოებას, რათა პირველს განზრახული მოსაზრება დაჰყვეს. მაშინ, რასაკვირველია, შეერთებული ძალა გაიყოფება, რომლის ნაყოფიც იგივე დასაგმობი მდგომარეობა იქნება, რომელშიაც იმყოფებიან სამცხე საათაბაგოს კათოლიკენი. ნუ დავივიწყებთ, ხალხში მუშაობა საჭიროა რათა აილაგმონ, ვინც მას სათავეში უდგენან დღეს და მარტო მოგებისთვის ზრუნვენ. საერთოდ ჯავახეთისა და ახალციხის სამღვდელოება ხალხის ეროვნული მისწრაფების წინააღმდეგია: მათ რომ ქართველობისა კიდევ რამე ეცხოსთ, საკითხი ადვილი გასარჩევი იქნება. თვითოეულ ამათგანზე ვერ ვილაპარაკებთ. ნათქვამია: თევზი თავიდან იწყებს აყროლებასო. ჩვენც ამ ღვდლების მართველზე გვაქვს საუბარი.

ვითარცა რომის წარმომადგენელს, აბრამიანს სომხები ემორჩილებიან. ქართველების სომხებათ ჩარიცხვა დასჭირდა, რათა იგინიც ხელქვეშ იყოლიოს. მას სურს კათედრა დააარსოს თბილისში, ამისთვის მრევლის მრავალრიცხოვნებაც საჭიროა. დღეს კათოლიკე ქართველებს მაინც ლათინური წესი მიღებული ექნებოდათ, აბრამიანს რომ საზიზღარი მოხსენება არ მოეწერა რომში. ჩემს თავს მოვალეთ ვრაცხ მის მოქმედებას პირბადე ავხადო და მისივე სიტყვებით ყველა ქართველი დარწმუნდეს, თუ იგი რამდენი ჭეშმარიტების უარმყოფელი, ჩვენი მტერი, აბუჩათ ამგდებელი და გამლანძღველია. 1909 წელს. ქრისტეშობისთვის 29 აბრამიანი რომში მოხსენებას[1] აგზავნის, რომელშიც, სხვათა შორის, სწერს:

„ფრანგთა ერში ანდაზათ თქმულ არის: ყველა არეულობაში და ამბოხებაში „მოსძებნე ქალიო“. ჩემდა სამწუხაროდ, აქ უნდა ვაღიარო, აქაურ უთანხმოებაში „მოსძებნე მღვდელიო“..... პეტერბურგიდან ოფიციალურად დამიბარეს: ერთ თვეს და ოც დღეს სამგზავროთ ვიყავი. როდესაც დავბრუნდი, ვნახე და გავიგე, ჩემს აქ არ მყოფლობის დროს.... ლათინ კათოლიკე ზოგიერთ მღვდელს.... აგრეწოდებულ კათოლიკე ქართველთა ზოგიერთ ურწმუნო კაცების საშვალებით (ხაზგასმული ჩვენია), ჩუმათ აუღდვებიათ 7000 სომხური წესით კათოლიკენი, რათა დასტოვონ სომხური წესი და მიიღონ ლათინური წესი....... კავკასიის ხელმწიფის მოადგილისთვის თხოვნები წარუდგენიათ. ამათ, აგრეწოდებული ქართველნი კათოლიკენი, რამდენიმე თავის წინათ მინისტრთანაც მიუწერიათ სარატოვის ეპისკოპოზ კესლერის წინააღმდეგ (ხაზგასმული თავისია). აი რა სულის კათოლიკები არიან... როგორც ყველანი ამტკიცებენ, წყარო

1) მოხსენების ერთი პირი ხელში მაქვს. დაწერილია ლათინურათ; აქ მომყავს სიტყვასიტყვით თარგმანი. ვსტოვებ ზოგიერთ ადგილს, რადგან ძრიელ ვრცელია.

ნიის ომის თეატრზე რუსეთის ჯარები უკვე დაუპირდაპირენ მტრის ჯარებს რუსეთ-გერმანიის საზღვრის თითქმის მთელ სიგრძეზე. დაზვერა ხდება ბილა-ბარჟიმენის ფრონტზედ. გერმანიის ჯარებმა უკან დაიხიეს და ცეცხლს მისცეს მრავალი თავისი სოფელი. ცხრამეტ ივლისს მტრის მცირე რაზმებმა დაიკავეს შენდინი და კალიში.

## საფრანგეთ-გერმანიის ომი.

საფრანგეთ-გერმანიის ომის დასაწყისად უნდა ჩავთვალოთ გერმანიის ჯარის შესვლა საფრანგეთში ქალაქ სირქს ახლოს: სირე პატარა ქალაქია და სდევს დაახლოებით ათი ვერსის მანძილზე ელზასის საზღვრიდან. სირე არავითარ სიმაგრეს არ წარმოადგენს და მოკლებულია სტრატეგიულ მნიშვნელობას. თავისთავად ცხადია, რომ გერმანიის ჯარის ამ ადგილას გადასვლა, ყოველთვის შესაძლებელი იყო. მაგრამ მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ ქალაქ სირედან სამოცი ვერსის მანძილზე იმყოფება მეტად ძლიერი გერმანული სიმაგრე—სტრასბურგი.

მნიშვნელობას მოკლებული არ არის ცნობა, რომელსაც იტყობინება ერთი ინგლისური გაზეთი—რომ ჩრდილოეთის ზღვიდან უკვე სროლის ხმა ისმის. თუ ეს ცნობა მართალია, იგი მოასწავებს ბრძოლის დაწყობას საფრანგეთისა და გერმანიის ფლოტის შორის.

ომის დასაწყისის მეტად მნიშვნელოვან ამბად უნდა ჩაითვალოს ლიუკსემბურგის საჰერცოგოს დაკავება გერმანიის არისგან. ლიუქსემბურგი არ შეადგენს საფრანგეთის ტერიტორიის ნაწილს, იგი დამოუკიდებელი სამთავროა. მაგრამ სტრატეგიულად მას დიდი მნიშვნელობა აქვს ომის შემდეგ ვითარებისთვის. იგი წარმოადგენს სამკუთხედს და საზღვრავს დასავლეთით—ბელგიას, აღმოსავლეთით რეინის პროვინციას (გერმანია) და სამხრეთით ელზას-ლოტარინგიასა და საფრანგეთს. ა'ეთი გეოგრაფიული მდგომარეობა ლიუქსემბურგს თვალსაჩინო სტრატეგიულ ბაზად ხდის.

უკანასკნელ ცნობად ბრძოლის ველიდან ჩაითვლება ის ამბავი, რომ გერმანიის ჯარმა ჰოლლანდის ქალაქი ლიმბურგი დაიკავა.

## ავსტრია-სერბიის ომი.

ავსტრია-სერბიის ომი სერბიის სატახტო ქალაქ ბელგრადის ალყით დაიწყო. ბელგრადს, როგორც სიმაგრეს მთავარი მნიშვნელობა არა აქვს. მიუხედავათ ამისა, სერბიელი ჯარები მედგრათ იცავენ მას. რა მდგომარეობა სუფევს სერბიის საზღვარზე, რომელსაც მიადგა ავსტრო-უნგრეთის ხმელეთის ჯარი და დუნაის ფლოტილია, ჯერ გამოურკვეველია, რადგანაც ყველაზე ნაკლები ცნობა ასტრო-სერბიის ბრძოლის ველიდან მიდის.

სერბიის მინისტრ-პრეზიდენტის პაშიჩის ტელეგრამმა მხოლოდ ცნობას იძლევა, რომ ავსტრიელები ზარბაზნებს უშენენ ბელგრადს. მდინარე სავაზე მდებარე ხიდი თვით სერბიელებმა ააფეთქეს და ამ რიგად ავსტრო-უნგრეთის ჯარების გადასვლა შეჩერებულია. მდინარე სავაზე გადასვლა პირველი მიზანია ავსტრიის ჯარებისთვის, მაგრამ ჯერჯერობით, როგორც ფრანგული გაზეთი „მატენი" იუწყება, ავსტრიის ჯარი ამას ვერ ახერხებს. იმავე ცნობით, მოხდა ცხარე შეტაკება ქალაქ სემენდრიის ახლოს, მაგრამ ავსტრიელები დიდი ზარალით უკუ გდებულ იქნენ.

## ომის გეგმა.

ფრანგული „მატენი" შემდეგ ნაირად ეხება ომის გეგმას:

რუსეთს ამ ჟამად 44 კორპუსი ჰყავს. ორმოც-და-მეხუთე კორპუსი მერმის შესდგება. აქიდან შვიდი კორპუსი—ციმბირისა, თურქესტანისა და კავკასიისა—ადგილობრივ დარჩება. ხელუხლებელი დარჩება აგრეთვე ფინლანდიის კორპუსი და პეტერბურგის გვარდიის კორპუსი. დანარჩენი 31 კორპუსი ავსტრიისა და გერმანიის საზღვრებისაკენ გაიგზავნება. რუმინიის წინააღმდეგ ორი კორპუსის გაყვანა უეჭველია აღარ დასჭირდება, რადგანაც პოლიტიკური ვითარება რუმინიასა და ავსტრიის შორის გამოიცვალა.

რამდენი ჯარი შეუძლიან გამოიყვანოს გერმანიას ორივე მხარეს? გერმანიის ჯარი შესდგება სულ 25 კორპუსისაგან. ამათგან ექვსი კორპუსი მაინც რუსეთის საზღვარზე დაბანდდება. რადგანაც რუსეთმა საზღვრებზე ბევრი სტრატეგიული რკინის გზები ააშენა, მობილიზაციას გაცილებით უფრო კარგადა და ადვილად მოახერხებს, ვიდრე უწინ. ასე რომ ამ მხრით გერმანიასა და რუსეთს შორის დიდი არაფერი განსხვავება იქნება. ამ ჟამად ეს განსხვავება ექვს დღეს უდრის, სახელდობრ: გერმანიის ჯარი მზათ არის მობილიზაციის მეათე დღის საღამოს, რუსეთი კი მობილიზაციის მეთექვსმეტე დღეს. ამ განსხვავებას ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნებოდა საფრანგეთის საზღვარზე, სადაც ბევრი რკინის გზებია, სადაც ექვსი დღის განმავლობაში თითქმის საფრანგეთის სატახტო ქალაქამდი შეიძლება მისვლა. მაგრამ რუსეთის საზღვარზე, პოლონეთში, სადაც პირველადვე ბევრნაირი დაბრკოლება გადაეღობება წინ რკინის გზების სიმცირის გამო, ექვსი დღის განსხვავებას დიდი მნიშვნელობა ექნება. გარდა ამისა, ექვსი კორპუსის ძალა დასუსტდება იმით, რომ რუსეთს შეუძლია საზღვარზე გერმანიის წინააღმდეგ ოცი კორპუსი გაიყვანოს.

ამ მოსაზრების ძალით, უნდა ვიფიქროთ, რომ გერმანიის ექვსი კორპუსი, საფრანგეთის ჯარების განადგურებამდი, მხოლოდ იმის ცდაში იქნება, რომ რუსეთის ჯარი შეაჩეროს. სამაგიეროდ რუსეთი აღარ დაიცდის და, გაათავებს თუ არა მობილიზაციას, ტორნით ენერგიულად ბერლინისკენ გაიწევს. ამიტომ საკითხავია შემდეგი: მოასწრებს თუ არა გერმანია, რომ თავისი ცხრამეტი კორპუსით გაანადგუროს საფრანგეთის ჯარი და შემდეგ აღმოსავლეთით მოიშველოს 8—10 კორპუსი, რომ რუსეთის ჯარის მსვლელობა შეაჩეროს.

უფრო კარგს პირობებშია ჩაყენებული რუსეთი ამჟამად ავსტრო-უნგრეთის საზღვარზე. სერბიის ჯარი 30 პროცენტით გაიზარდა. იგი პირველ წუთსავე ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში შეიჭრება. ეს იძულებულ ჰყოფს ავსტრიას, მშვიდობიანობის დროსაც კი, ორი კორპუსი იყოლიოს. ომის გამოცხადების დროს ხომ ორი კორპუსი მაინც კიდევ უნდა მიუმატოს. რუმინიის გამო რუმინიის გამო რუსეთი იძულებული ხდებოდა ოთხი კორპუსი ყოლოდა საზღვარზე. ახლა კი, პოლიტიკური ვითარების გამო, ავსტრია იძულებული გახდება რუმინიის საზღვარზე ოთხი კორპუსი გაიყვანოს. რუსეთს კი ორი კორპუსი გაუნთავისუფლდება. ამ ორ კორპუსს იგი ავსტრიის წინააღმდეგ მიმართავს.

## საფრანგეთის ჯარი

უკანასკნელის ცნობებით, საფრანგეთის მუდმივი ჯარი 720,000 უდრის. ამას გარდა საფრანგეთს ჰყავს ჩრდილო აფრიკაში ჯარი, რომელიც 85,000 კაცს უდრის. ამრიგად მშვიდობიანობის დროს საფრანგეთს თოფქვეშ უყენია 850,000 ჯარისკაცი.

ასეთი ზრდა საფრანგეთის ჯარისა გამოწვეულია, სხვათა შორის, მთავრობის უკანასკნელი ზომებით, მაგალითად, 1913 წლის სამხედრო ბეგარამ 20,000 კაცით მეტი მისცა საფრინგეთსა. ამასვე უნდა მიუმატოთ მოხალისენი, რომელნიც ისევ ჯარში იმყოფებიან.

ინტერესს არ არის მოკლებული ის გარემოება, რომ საფრანგეთის ჯარში იმყოფება 9 ათასი უცხოელი, რომლებიც აგრეთწოდებულ „უცხოელთა ლეგიონს" შეადგენენ. 44,000 არაბი, 18,000 მაროკელი და 14,000 ბენგალელი ნეგრი.

გერმანიის ჯარს რომ შევადაროთ, რომლის რიცხვიც მშვიდობიანობის დროს 770,000 კაცს უდრის, საფრანგეთის ჯარის რაოდენობა რიცხვით თითქმის იგივეა. მაგრამ საფრანგეთის ჯარს ის უპირატესობა აქვს, რომ მას მხოლოდ ერთ ფრონტზე უხდება ბრძოლა, იმ დროს, როცა გერმანია იძულებულია იბრძოლოს ორ ფრონტზე.

ამას გარდა, ვინაიდან გერმანიაში ორ წლის ვადიანი სამხედრო ბეგარა არსებობს, იქ მრავალი რიცხვი თავისუფლდება ჯარისკაცისა, რომლებიც სათადარიგო არმიაში გადადიან.

მაგრამ პრუსიის გენერალური შტაბი ამ მოვლენას თავის სასარგებლოთ სთვლის, მცირე ვადიანი ბეგარა პრუსიის შტაბს ხელს უწყობს, რომ უფრო დიდი რიცხვი ახალგაზდობისა გაწვრთნას და მოამზადოს.

## ლიუქსემბურგის საჰერცოგო.

ლიუქსემბურგი, რომელიც დამოუკიდებელ სამთავროს წარმოადგენს, და, რომელიც ამჟამად გერმანიის ჯარებმა დაიკავეს, მდებარეობს გერმანიის, საფრანგეთისა და ბელგიის სამზღვარზე. სივრცით ლიუქსემბურგს 2,587 კვ. კილომეტრი უჭირავს და უმთავრესად მთაგორიანი ადგილია. მცხოვრებთა რიცხვი 211,088 უდრის, რომელთაგან ნაწილი გერმანულად ლაპარაკობს, ნაწილი ფრანგულათ და უმთავრესად კათოლიკები არიან. მართებლობა საჰერცოგოში კონსტიტუციონურია, რომელიც განმტკიცებულია ლონდონის კონფერენციით. საჰერცოგოს ტახტი მემკვიდრეობით ეკუთნის ნასსაუს ჰერცოგთა ოჯახს და ამ ჟამათ უპყრია ჰერცოგინ მარია—ადელაიდას. მთავარი გამგეობა ქვეყნისა საგარეო, იუსტიციის, შინაგან საქმეთა და ფინანსთა გენერალურ დირექტორების ხელშია. ერთ მათგანს თავჯდომარის უფლებანი აქვს და ეწოდება სახელმწიფო მინისტრი. საკანონმდებლო უფლება დეპუტატთა პალატას ეკუთნის, რომელიც 40 წევრისაგან შესდგება. საჰერცოგო სამ ოლქათ არი დაყოფილი, ამას გარდა, სატახტო ქალაქი ლიუქსემბურგი ცალკე ოლქს წარმოადგენს. 1881 წლიდან საჰერცოგოში სამხედრო ბეგარა აღარ არსებობს და ქვეყნის სამხედრო ძალებს შეადგენს ერთი როტა ჟანდარმთა და ერთიც ვოლონტიორებისა. სულ რიცხვით 300 კაცი.

უკანასკნელ დროს საჰერცოგოში აშკარად გამოიხატა მიდრეკილება საფრანგეთისაკენ, რასაც გერმანიისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

# ქუთაისი.

### ახალი ამბავი.

22 ივლისს, თფილისიდან ქუთაისს ჩამოვიდა რეჟისორი შალიკაშვილი, რომელიც თავის საქმეს უკვე შეუდგა.

✦ ქუთაისის გუბერნატორმა ჭიათურის შავიქვის საბჭოს მოსთხოვა აცნობოს მას რა მდგომარეობაში იმყოფება დ. ჭიათურის პოსადათ გადაკეთების საქმე.

✦ როგორც სოფ. ბიკის-ციხიდან (ოზურგეთის მაზრა) გვატყობინებენ, იქ ამ დღეებში ჩამოსულა ინგლისიდან კაპიტალისტების ამხანაგობა, რომელსაც განზრახვა ჰქონია იყიდოს დიდი ტყე, რომელიც სურების საზოგადოებაში იმყოფება. ეს ტყე რამდენიმე ათასი დესეტინა ყოფილა და ეკუთნის მთელ საზოგადოებას განურჩევლათ წოდებისა.

✦ ქუთაისის გუბერნიის წინამძღოლს თავად დ. ო. ნიჟარაძეს დეპუტატთა საკრებულომ ქ. პიატიგორსკში დეპეში გაუგზავნა, რომ ამ მოკლე ხანში ქუთაისში ჩამოვიდეს.

✦ ქუთაისის დრამატიული საზოგადოების მიერ დაქირავებული მხატვარი კულიშოვი ჯარისკაცათ წაიყვანეს, ამისათვის იმის მოვალეობა გადაეცა თფილისში მხატვარ ნოვაკს.

✦ 24 ივლისს რკინის გზაზე საღამოს დასეირნობდენ ნიკოლოზ შევჩენკოდა მისი და ევგენია. ისინი სეირნობით ქალაქს გაშორდენ, ამ დროს მათ უეცრათ თავს დაესხა ვიღაც ორი უცნობი ახალგაზდა. დას, ძმა მოაშორეს და საწყალ ქალზე ძალა იხმარეს. პოლიციამ ბოროტმზრახველები დააპატიმრა.

✦ 23 ივლისს, მომრიგებელმა მოსამართლემ გაარჩია 30 ებრაელის საქმე, რომელთაც სანიტარული წესის დარღვევა ბრალდებოდათ. მოსამართლემ ისინი დამნაშავეთ იცნო და თითო 10 შაურიდან 3 მანათამდი დააჯარიმა.

✦ როგორც [illegible] (ქუთ. მაზ,) გვატყობინებენ, იქ დიდი [illegible]ბა ყოფილა. ჯერჯერობით ყანებს კარგი პირი უჩანს.

✦ ეს ერთი კვირაა პეტერბურგის ბირჟის მოქმედება შეწყვეტილია. ამისთვის ქუთ. სათავადაზნაურო ბანკს გირავნობის ფურცლების ფასის ცნობები აღარ მოსდის.

# თფილისი

— გერმანია-რუსეთის ომის გამო 21 ივლისს თფ. ქალაქის საბჭოს საგანგებო კრების დაწყებამდი საბჭოს დარბაზში ქალაქის გამგეობის წევრთა და თფილისში მყოფ ხმოსნების თანადასწრებით მღვდელმა გ. ჩომახიშვილმა გადაიხადა პარაკლისი, რომლის დროსაც გალობდა სამხედრო ტაძრის ხორო.

კრება დაიწყო საღამოს 9 საათზე ქალაქის მოურავის მოადგილის თ-დ ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვის თავჯდომარეობით, რომელმაც თვის სიტყვაში დაახასიათა მნიშვნელობა დღევანდელ საშიშ მდგომარეობისა. საბჭომ დაადგინა, მიმდინარე წლის მეორე ნახევარი, ე. ი. 1 ივლისიდან თფილისში გაადიდოს დასაფასებელი გადასახადი და ზედმეტი ფული, რომელიც ნახევარ წლის განმავლობაში 90,000 მან. შეადგენს გადასდვას ომის საჭიროებისთვის. ამ ფულის აკრებამდი ქალაქის თვითმართველობა 25000 ახლავე გაიღებს.

— სამხედრო ჰოსპიტალი. ქალაქის თვითმართველობისა და ადმინისტრაციის წარმომადგენელთა შორის აღიძრა საკითხი ისეთ დროებით საზოგადოების დაარსების შესახებ, რომელიც თფილისში დააარსებს სამხედრო ჰოსპიტალს ომში დაჭრილთათვის. განზრახვა არის ის თფილისელი ჯარისკაცნი, რომელნიც ომში დაიჭრებიან, დასაწვენად თფილისის ჰოსპიტალში ჩამოიყვანონ.

— ქართ. თეატრთან მოწყობილ პრაქტიკულად სამეცნიერო სტუდიაში ასწავლიან შემდეგ საგნებს: პლასტიკას, სხეულის ვარჯიშობას, მხატვრულ გიმნასტიკას, ცეკვას; მიმოდრამას: უსიტყვო ფსიხოლოგიურ განცდას, ამოცანებით ვარჯიშობას; სიმღერას—ხმის ვარჯიშობას, გადახალისებას, სოლფეჯიოს; დიქციას—სუნთქვის გავარჯიშებას, მჭაფიოდ გამოთქმას ქართულ ენას, მხატვრულ კითხვას ფარიკობას- ევროპიულს და აზიურს; პრაქტიკული ვარჯიშობას მოამზადებენ სხვადასხვა პიესის ნაწყვეტებს. წლის ბოლოს იქნება საჯარო გამოცდა. სტუდიაში მიიღებიან, ვინც გამოცდის დროს შესაფერ სასცენო თვისება გამოიჩენენ, სწავლა უფასოა.

პარაკლისი. გუშინ ალექსანდრე ნეველის სამხედრო ტაძარში საქართველ. საეგზარხოსოს დროებით მმართველმა ეპისკოპოსმა პიმენმა გორის ეპისკოპოზ ანტონისა და ქალაქის სამღვდელოების თანამწირველობით პარაკლისი გადაიხადა, რათა რუსეთის მხედრობას ძლევა მიენიჭოს.

— მანიფესტაცია 21 ივლისს თფილისში კვლავ გაიმართა.

## გლეხთა უფლება.

ჩვენი ქვეყნის გლეხობა, მცირე გამონაკლის გარდა, რომელიც დროებით ვალდებულ გლეხებს ეკუთნის, ორ ნაწილათ არის გაყოფილი. უმრავლესობა მესაკუთრე გლეხობას შეადგენს და უმცირესობა სახაზინო გლეხებს ეკუთვნის. მესაკუთრე და სახაზინო გლეხები ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში ერთნაირი უფლებით, ზოგიერთ წვრიმალ საქმეში მაინც, არ სარგებლობენ. მაგალითად შორაპნის მაზრაში ბევრი მისთანა სოფელია სადაც სახაზინო გლეხი უსასყიდლოთ სარგებლობს თავის საჭიროებისათვის სახაზინო ადგილების საძოვარი ბალახით, საყანე ადგილებით და საშეშე ტყით და ამავე მცირე უპირატესობას მოკლებული არიან მეზობელი სოფლის მესაკუთრე გლეხები. გლეხების ასეთ დანაწილებას არა სასურველი ნაყოფი მო-

---

ყოველი ცუდისა და არეულობისა არის რომში მყოფი მამა მიხელ თამარიშვილი ხარისჭირაშვილის მონასტრისა, **თამომავლობით სომეხი**, დაბადებული ახალციხეში **და შემთხვევით ქართული ენის მოლაპარაკე** (ხაზგასმული ჩვენია) მეწალე, რომელიც მთავრობის კანონის შებღალვის გამოისათ ჩვენი გუბერნიიდამ განდევნილ იქნა იგი წერილებით და ყველა ნაირ მზაკვრობით ხალხში მშვიდობას არღვევსო"...

როდის და სად ნახა ურწმუნო ქართველები? თუ აბრამიანს სწამს სომხური წესის მიმდევარნი კათოლიკე ქართველები სომხები არიანო, რისთვის უნდა ამათ შორის ურწმუნონი უთუოდ ქართველნი იყვნენ? რითი დაგვიმტკიცებს კათოლიკე ქართველთა ჩამომავლობით სომხობას, ან და სომეხ-კათოლიკენი რითი მაღლა სდგანან ქართველ კათოლიკებზე? აბრამიანი ნუ დაგვავალებს, რომ მის ცხოვრებას პირბადე ავხადოთ და დავუმტკიცოთ, რომ ურწმუნო ქართველ კათოლიკენი მაინც მასზე მორწმუნენი არიან. აბრამიანს სძულს თამარაშვილი, მას ლანძღავს. ქართველი საზოგადოება ამაზე პასუხს უნდა მოსთხოვდეს. რაც რომ ცილისწამება წამოროშოს სომეხ აბრამიანმა, თამარაშვილი მაინც ქართველია და ყველასაგან პატივსაცემელი პირია. თუ მთავრობამ ნება არ მისცა თამარაშვილს ამ 24 წლის წინათ, რათა მღვდელმოქმედება შეესრულებინა საქართველოში, რადგან საზღვარგარეთ იყო ნაკურთხი, ესეც აბრამიანის მსგავსებმა გამოიწვიეს. თუ ეს მთავრობის კანონის დარღვევაა და მეამბოხებაა, მაშ მთავრობას აბრამიანიც უნდა გაედევნა, რადგან საზღვარგათეთ ნასწავლი და ნაკურთხია. ამას დავსძენთ: ქართველ კათოლიკეებმა მთავრობას თხოვნა მისცეს ლათინურზე გადასვლისთვის. მთავრობა დასთანხმდა. აბრამიანი გაგულისდა, ჩუმათ რომში ვრცელ მოხსენებას სწერს, რათა ხალხის კანონიერი სურვილი და მთავრობის ნება არ ასრულდეს. აი კანონის დამარღვეველი' რომელიც როგორც თვითვე ამბობს propter fraudem legis (კანონის დარღვევის მიზეზით) საქართველოს ტერიტორიას უნდა მოშორდეს.

აბრამიანი სიმართლეს სცდება, როდესაც სწერს: 7000-ს არ აღემატება აგრეწოდებულ, ქართველ-კათოლიკეთა რიცხვიო. 1906 წლის აღრიცხვაში, რომელიც ჟურნალ „ჯვარი ვაზისაში" № 8, 9, ნაჩვენებია, მარტო ჯავახეთში 5694 სული. ამ რიცხვს ახალციხის მაზრისაც, რომ მიუმატოთ, უეჭველია, 7000 აღემატება. რისთვის სჭირია აბრამიანს ჩვენი დაცოტავება? რათა ყურადღება არ მიაქციოს რომმა ამათ თხოვნას და ადვილათ გაჭქლოს მოწინააღმდეგენი, რომელთაც უტაკტიკობას, ურწმუნობას, ამბოხებას შესწამებს. შემდეგ დასძენს:

„სარატოვის სემინარიის რეკტორი, ივანე ანტონოვი, რომელიც აგერ 7 თვეა ავათ არის და აწ აქ იმყოფება, იგიც ნაკლებ არ დაეხმარა თამარაშვილს ამ ნაირ საქმეში. არ ისვენებს, ჩუმათ პროპაგანდას სწევს სომხურ ტიპიკონის კათოლიკეთა შორის. ეს ბატონები ჩემ წინ ნამდვილ კათოლიკეთ მეჩვენებიან, სიტყვით და საქმით კი ცდილობენ გამოიხსნან აგრეწოდებული ქართველ კათოლიკენი სომხური წესიდან, როგორადაც ჯოჯოხეთიდან... არღვევენ და ფეხქვეშ თელავენ დეკრეტებს... ივანე ოქროპირის იუბილეის დროს, პაპმა თავის მოქმედებით ფრიად კეთილი შთაბეჭდილება მოახდინა რუსეთის ხალხზე და მთელი აღმოსავლეთის ერი აღტაცებით მიეგება რომის ეკლესიას. რუსეთის ერმა, რომელიც წინათ სხვა თვალით უყურებდა ჩვენს ეკლესიას, **ნელ-ნელა შეიცვალა თავისი ცრუ აზრი და დაუახლოვდა რომაელ კათოლიკე ეკლესიას**: (ხაზგასმული ჩვენია) ეს ბატონები კი ისრე ირჯებიან ამ 7000 მცხოვრებთან, რომ **უბრალო საკითხის** (ხაზ. ჩვენია) გამოისათ უნდათ უცებ დაბადონ **შური** (ხაზი თავისია) ჩვენი დედა წმიდა ეკლესიისადმი".

**ხედავს მკითხველი, თუ სომხური ლოდიკა როგორ სჯის.** ურჩევნოდა, რუსეთის ხალხის მაგიერ სომხის ხალხი დაესახელებია და ცოტათი მართალი იქნებოდა. ჩვენ ჩვენი სამართლიანი უფლებანი, რომ აღგვიდგინონ, რუსეთის ხალხი შურით კი არ შეხედავს რომს, სომხის ხალხი იქნება და განსაკუთრებით იმ ნაირი ბატონები, როგორიც არის აბრამიანი, რომელსაც თავის სარწმუნოება სხვის დაჩაგვრისათვის აქვს და კეთილ იარაღათ ხმარობს მას.

**ქართველი კათოლიკე.**

(დასასრული იქნება).

სავაჭრო სახლი
ი. გოკიელის შვილების
ქ უ თ ა ი ს შ ი.

ამით საყოველთაოდ აცხადებს რომ, **ზომიერ ფასებში** საუკეთესო ხარისხის საზღვარგარეთის **ჯიბის დანები,**
მიღებულია და იყიდება
პორტფელები, უბის წიგნაკები (კნიჟკები), საანგარიშო ჩოთქები, ყოველ ნაირი საწერი, საბეჭდავი და ფოშტის ქაღალდები.

დეპო ლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობისა და ელექტრონის მოწყობილება ქ. ქუთაისში.

**ნ. გ. რაფაელოვი და პ. ნ. ჩაკვეტაძისა.** მიხაილოვის ქუჩა,

მოგვეპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილება; ვკისრულობთ ელექტრონის მოწყობას ჩვენის მასალითა და გარანტიით დიდ საღავათიან ფასებში და ყველა კონკურენციის გარეშე. მოგვეპოვება აგრეთვე ყველანაირი საოჯახო სამკაული, ნავთის სამოვრებ ლუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი ლინოლეუმი, ლინოლეუმი საუკეთესო განთქმული ქარხნებისა და სხვა პიანინოები და მრავალგვარი საოჯახო ნივთი. ვაჭრობა დანიშნულიანადდი, ფულზე, რის გამოც ფასები ყველა საქონელზე ძლიერ დაკლებულია. ელექტრონის მოწყობას თვალყურს ადევნებს ჩვენგნით სპეციალურად მოყვანილი ხარკოვში უმაღლესი სწავლა დამთავრებული ელექტროტეხნიკი.
პატივისცემით ნ. გ. რაფაელოვი და პ. ნ. ჩაკვეტაძე.

**Тифлисская контора Акціонернаго Общества пробочной мануфактуры ВИКАНДЕРЪ и ЛАРСОНЪ**

симъ имѣетъ честь довести до свѣдѣнія почт. покупателей, что нашъ „ЛИБАВСКІЙ ЛИНОЛЕУМЪ“ въ КУТАИСѢ имѣется въ продажѣ исключительно въ магазинѣ Ф. С. ФИЛИППОВА. Въ виду того, что въ газетѣ „ИМЕРЕТИ“ недавно появилось объявленіе одной кутаисской фирмы, съ предложеніемъ „Либавскаго Линолеума“, считаемъ своимъ долгомъ предупредить лицъ интересующихся этимъ матеріаломъ, что названіе „Либавскій Линолеумъ“ принадлежитъ только производству нашихъ заводовъ и что помимо Ф. С. Филиппова въ Кутаисѣ на линолеумъ у насъ перепродавцовъ нѣтъ. Рекомендуя этотъ фабрикатъ какъ лучшую и гигіеничную настилку для половъ просимъ за смѣтами и другими справками обращаться къ названной выше фирмѣ.

დეპო ლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობისა და შპალიერისა ქ. ქუთაისში.

**ფ. ს. ფილიპოვისა.** ალექსანდრეს ქუჩაზე

მოგვეპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილობა; ვკისრულობთ ელექტრონის მოწყობას ჩვენის მასალითა და გარანტიით დიდ საღავათიან ფასებში და ყველა კონკურენციის გარეშე. მოგვეპოვება აგრეთვე ყველანაირი საოჯახო სამკაული, ნავთის სამოვრები, ღუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი ლინოლეუმი, განთქმული ლიბავის ქარხნის „ვიკანდერ და ლარსონის“ სამუსიკო ინსტრუმენტების (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი საოჯახო ნივთი. ვაჭრობა დანიშნულია ნაღდ ფულზე, რის გამოც ფასები ყველა საქონელზე ძლიერ დაკლებულია.
პატივისცემით ფ. ფილიპოვი.


აქვს. დღევანდელი ცხოვრების პირობების მიხედვით დიდათ საჭიროა, რომ ჩვენი გლეხობა მტკიცე შეურყეველი კავშირით იყოს ერთმანეთთან შეკავშირებული და მათ შორის არავითარ შუღლსა და მტრობას ადგილი არ უნდა ჰქონდეს და გლეხების დაჰყოფა სხვადასხვა ჯგუფად უფლების მიხედვით ხელს უშლის მათ შეკავშირებას. გარდა ამისა მესაკუთრე გლეხები არა ნაკლებ საჭიროებენ მთავრობის დახმარებას. ვინ არიან მესაკუთრე გლეხები? მესაკუთრე გლეხები ჩვენი ქვეყნის ის ღედა ბოძია, რომლის ზურგზეც გადაიარა ბატონყმობის საშინელებამ და სიმკაცრემ. ნივთიერის მხრით მესაკუთრე გლეხები უფრო ღარიბნი არიან და ადგილის სივიწროვესაც ისინი უფრო განიცდიან, ვიდრე სახაზინო გლეხები და, მაშასადამე, დახმარება იმათ უფროც ეჭირებათ. მე ამით სრულიად მისი თქმა არ მინდა, რომ სახაზინო გლეხები ფუფუნებითი ცხოვრებაში იყონ. არა და ათასჯერ არა. ჩვენი გლეხობა განურჩევლად ყველა დიდ გასაჭირშია ჩავარდნილი, დახმარებას და შველას თხოულობს, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ მშიერ ძმებს შორის დახმარების დროს განსხვავება რატომ უნდა იყოს.

სასურველია და დიდათ საჭიროც, რომ არავითარ განმასხვავებელ მოვლენას ჩვენ გლეხებს შორის ადგილი არ ჰქონდეს და უფლება-უპირატესობის მხრით ისინი გათანასწორებული იყონ.

მ. ფარცხნალელი.

რედაქტორ-გამომცემელი **ბ. ჯაიანი.**





**სამოსწავლო მთავრობის ნებართვით**

ამა წლის 1-ლ ეკენისთვიდან ვხსნი ვაგზლის ქუჩაზე, საკუთარ სახლში,
**მე-3 ხარისხ-ს მოსამზადებელ**
**სასწავლებელს**
ორივე სქესის ბავშთათვის, რომელსაც მიზნათ ექნება ბავშების მომზადება გიმნაზიების შესასვლელად მეორე კლასამდი.
ბავშების მიღება დაიწყება 20 აგვისტ.
ნინო მათეს ასული
ხოჭოლავასი.

**განცხადება.**

ქუთაისის წმ. ნინოს ქალთა სასწავლებელი
**ამით აცხადებს, რომ**

**1. თავისუფალი ადგილები არის ყველა კლასში, 2. თხოვნები და საჭირო მოწმობები მიიღება 20 აგვისტომდი. 3. გამეორებითი და მისაღები გამოცდები დაიწყება 21 აგვისტოდან.**

მერვე კლასში შესვლის მსურველმა თხოვნებთან ერთად უნდა წარმოადგინონ ნახევარი წლის გადასახადი 57 მან. 50 კაპ. წინააღმდეგ შემთხვევაში, საბჭო არ განიხილავს მათ თხოვნებს. თხოვნებთან ერთად უეჭველათ უნდა იქნას წარმოდგენილი უწმ. სინოდის კანტორის მეტრიკული მოწმობა და არა ამოწერილობა.

**თუთხმეტ მაისიდან გაიხსნა**
კურსების მადნეული წყლის **აბანო,**

რომელიც იმყოფება გელათის სადგურის მახლობლათ, სადაც პლატფორმაა არჯევანიძის მატარებლების გასაჩერებლათ. პლატფორმიდან ას ორმოცდა ათი საჟენია აბანომდი. ქუთაისიდან მოითხოვეთ ბილეთი არჯავანიძესთან. ბილეთი პლატფორმამდი მესამე კლასის 23 კაპ. და მეორეში 7 შაური ღირს.

ზემოხსენებული **კ უ რ ს ე ბ ი ს ა ბ ა ნ ო** იმყოფება მშვენიერ ბუნებით შემკულ მაღალ ადგილზე, და როგორც ნამდვილ გამოკვლეულია კურნავს მრავალს სხვადასხვა ავათმყოფობას, როგორც მაგ., ქარებს (რევმატიზმის), ტანზე დაყრილ მუწუკებს, ნერვების სისუსტეს, ბავშების საყმაწვილოს. გიმაროი,—სიყვითლეს და ვენერიულ ავათმყოფობას. აგრეთვე რგებს სასმელათ კუჭის ტკივილს. წყალი მიიღება ცივი და თფილიც. არის სუფთა მოწყობილი ვანები, მასთან სუფთა საცხოვრებელი ოთახები და სასმელ-საჭმელი ძრიელ ზომიერ ფასებში.
პატივისცემით **გ. მ. არჯავანიძე.**

მ ი ი ღ ე ბ ა ხ ე ლ ი ს მ ო წ ე რ ა
ყოველკვირეულ სალიტერატურო, საპოლიტიკო და ეკონომიურ გაზეთზე

# შრომა

გაზეთი გამოდის 3 მარტიდან 1914 წ.
რედაქცია გადავიდა ძველი ბინიდან გიმნაზიის ქუჩაზე ჟურნალ-გაზეთების კანტორა „იმერეთის“ გვერდით — კირაკოზოვის შენობაში.

| | | | |
|---|---|---|---|
| **გაზეთის ფასი** | ერთი წლით | — — | 2 მან. — კაპ. |
| | ნახევარი წლით | — — | 1 მან. 20 „ |
| | ერთი თვით | — — | 20 „ |
| | **ცალკე ნუმერი** | — — | 5 „ |

განცხადების ფასი I გვერდზე პეტიტით პწკარი 15 კ. უკანასკნელზე 10 კ.
ფული და წერილები მიიღება შემდეგი მისამართით: Кутаисъ, ред. еженед. груз. газеты „ШРОМА“.

ყოველ კვირეული სამეურნეო და საზოგადო ჟურნალი
# „სასოფლო გაზეთი“
გამოდის კვირაობით

ჟურნალის უმთავრესი მიზანია ხელი შეუწყოს ჩვენში მეურნეობის განვითარებას და შეძლებისდაგვარათ დაეხმაროს ხალხის ეკონომიურ, კულტურულ და გონებრივათ წინსვლას კოოპერატიულ, და სხვა ამხანაგობათა მნიშვნელობის ახსნა განმარტებით

ჟურნალი ღირს: ერთი წლით—4 მან. ნახევარი წლით —2 მან. ერთი თვით—2 აბაზი., ცალკე ნუმერი—2 შაური. საზღვარ გარეთ ორჯერ მეტი.

ხელის მოწერა მიიღება ქუთაისში „სასოფლო გაზეთის“ რედაქციაში, ის. კვიცარიძის ჟ.-გ. კანტორაში, თ. მთავრიშვილის წიგ. მაღაზიაში, ვ. რუხაძის რკინეულის მაღაზიაში და სამეურნეო სკოლაში, ფოთში სიმონ ორაგველიძესთან, ბათომში გიორგი მახარაძესთან, ოზურგეთში მ. თალაკვაძესთან და დიმიტრი ზ. ცეცხლაძესთან, ჭიათურაში „ჩვენ ოჯახში“. ბახვში დომენტი ინწკირველთან. სამტრედიაში ისიდორე სტურუასთან და ყარამან კოპალეიშვილთან.

ფული უნდა გამოიგზავნოს მხოლოდ შემდეგი ადრესით: Сельско хозяйственная школа, Алексардру Давидовичу Шарашидзе, для „Сасопло газеты“.

დაიწყო ხელის მოწერა
**ჯაჯუ ჯორჯიკიას**
თხზულების პირველ ტომზე. წიგნში იქნება სამასი გვერდი და დაერთობა კიტა აბაშიძისა და მ. წულუკიძის კრიტიკული წერილები.

წიგნი ღირება ხელის მოწერით 50 კ. ხელის მოწერა პირველ აგვისტომდი გაგძელდება წიგნი ხელის მომწერთ ეკენისთვეში დაურიგდებათ. ხელის მოწერის შესახებ მოლაპარაკება დაფულის გამოგზავნა შეიძლება ამ ადრესით ქუთაისი, ბაღის ქუჩა (Садовая ул.) სერ. გერსამიას.

ხელის მოწერა მიიღება **ქუთაისში** მთავრიშვილის, ოჩხელის და გოგიბერიძის წიგნის მაღაზიებში, ჟურნალ გაზეთების კანტორა იმერეთში ის. კვიცარიძესთან დავით ავალიანთან ილიკო მესხთან, ილიკო ნიჟარაძესთან დომენტი ოყროშიძესთან, პ. ბოკერიასთან ლ. ლოლუასთან, გ. შავდიასთან, ნინა ლეკვეიშვილის ასულთან, ცერცვაძის ქალთან და სხვებთან **თფილისში** სახალხო გაზეთისა და თემის რედაქციებში. **ბაქოში** აკ. ივანე ელიაშვილთან **თელავში** ივანე პაატაშვილთან **სიღნაღში** კახეთის ხმის რედაქციაში **ჭიათურაში** პლატონ ლეჟავასთან **ყვირილაში** კიკნაველიძის წიგნის მაღაზიაში **აბასთუმანი** ნიკ. აბესაძესთან **წალენჯიხაში** ალ. ცირეკიძესთან **ხორაგაულში** ფოშტაში კ. ჯაფარიძესთან **მარელისში** მასწ. მ. დეკანოსიძესთან **მოლითში** მასწ. ს. ღამბაშიძესთან **სამტრედიაში** ის. სტურუასთან **აბაშაში** ალექსანდრე ესაკიასთან **ახალ—სენაკში** ვლადიმერ კვანტალიანთან და სამკითხველოში ლორთქიფანიძესთან **ფოთში** მიხა ესაკიასთან და კოსტა თელიასთან **ლანჩხუთში** შოთა ვადაჭკორიასთან, **ოზურგეთში** გიორგი მუმლაძესთან **ჩოხატაურში** გრ. თავდგირიძესთან **აცანაში შუხუთში ჩიბათში** და **ლესაში** ფერშალ ექვთიმე ორაგველიძესთან **ბათომში** ს. მდივანთან, განთიადის წიგნის მაღაზიაში და ბათომის გაზეთის რედაქციაში **ოჩამჩირეში** თეოფილე ხუნდაძესთან **ნოსირში** მომხმარებელ საზოგადოებაში **ხობში** პროვიზორ ოგანეზოვთან **წინმძღვარიან კარში** ნესტორ ძიძიგურთან **ონში** ილია გოგიასთან **ალპანაში** სამსონ ფრუიძესთან **ზუგდიდში** იოსებ გოგიასთან **ხონში** კესარია მებუკის ასულთან მ. ქელიძესთან და მ. ქავჭანიძესთან **სოხუმში** პლატონ გელოვანთან **ბანძაში** ესტატე მონივასთან **გაგრაში** ტრიფონ თაბუკაშვილთან **ნაოღალევში** აქსენტი ფარულავასთან **ნახუნავოში** ბეგლარ ფაღავასთან **მალლაკში** ელენე ნიჟარაძის მეუღლესთან **ამაღლებაში** მარიამ ჩიჯავაძესთან **ბაღდათში** გ. ახვლედიანთან **მათხოჯში** ლავ. ძიძიგურთან **კავკავში** იასონ ლორთქიფანიძესთან **სადმელში, ქრეპალოში, სურამში, კურსებში, გორში, ბორჯომში სვირში** და **სიმონეთში სამკითხველოში. ქუთაისის გუბერნიის** სხვადასხვა სოფელსა და დაბაში მელიტონ დოლაბერიძესთან. **გურიასა, რაჭასა** და **ხაგარაკო** ადგილებში გვეყოლება მოსიარულე აგენტი.

მ უ შ ა ო ბ ს
ხრესილის მადნეული წყლის
ძმ. ქორქოლაძეების
# ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო ა ბ ა ნ ო.

აბანო მდებარეობს მაღლობ ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას; **ქარებს (რევმატიზმს)** სხვადასხვაგვარ **მუწუკს, საყმაწვილოებს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას) კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს** და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თფილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი **ექიმი,** სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის, არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა, და სასმელ საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს **სადგურ „სერნია ვოდში“ ხრესილში** სტანციაა მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის“.

ნ. ს. ტერკის მაღაზია
ქ უ თ ა ი ს შ ი
# ველოსიპედები




შინები, ნაწილები და მოწყობილობანი კონკურენციის გარეშე
ყ ვ ე ლ ა ზ ე ი ა ფ ა დ
ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება. მოითხოვეთ პრეისკურანტები უფასოთ.


# რკინის გზა

ქუთაისიდან მიდის

| | | | |
|---|---|---|---|
| **თფილისს:** | ფოშტის დილის | 11 საათ. | 55 წ. |
| | ჩქარი ღამით | 2 საათ. | 57 წ. |
| | სახალხო დილის | 10 საათ. | 10 წ. |
| | სახალხო ღამით | 1 საათ. | 7 წ. |
| **ბ ა თ ო მ ს:** | ფოშტის საღამოს | 5 საათ. | 30 წ. |
| | ჩქარი ღამით | 2 საათ. | 57 წ. |
| | სახალხო საღამოს | 8 საათ. | 35 წ. |
| | სახალხო დილის | 4 საათ. | 27 წ. |
| **ფ ო თ ს:** | სახალხო საღამოს | 4 საათ. | 14 წ. |
| | სახალხო ღამით | 2 საათ. | 57 წ. |
| | სახალხო დილით | 4 საათ. | 27 წ. |
| | ფოშტის საღამოს | 5 საათ. | 30 წ. |
| | სახალხო საღამოს | 8 საათ. | 35 წ. |
| **შორაპანს:** | საავგარაკო საღამოს | 5 საათ. | 00 წ. |
| **ტყიბულს:** | სახალხო დილის | 6 საათ. | 20 წ. |
| | სახალხო საღამოს | 4 საათ. | 20 წ. |

ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| **თფილისიდან:** | ფოშტის საღამ. | 6 საათ. | 57 წ. |
| | ჩქარი ღამით | 3 საათ. | 50 წ. |
| | სახალ. საღამოს | 9 საათ. | 44 წ. |
| | სახალხო ღამით | 5 საათ. | 50 წ. |
| **ბათომიდან:** | ფოშტის დღით | 1 საათ. | 25 წ. |
| | ჩქარი ღამით | 3 საათ. | 50 წ. |
| | სახალხო დღით | 11 საათ. | 22 წ. |
| | სახალხო ღამით | 2 საათ. | 23 წ. |
| **ფოთიდან:** | სახალხო დილით | 10 საათ. | 3 წ. |
| | ფოშტის დღით | 1 საათ. | 25 წ. |
| | სახალხო ღამით | 2 საათ. | 23 წ. |
| | სახალხო ღამით | 3 საათ. | 50 წ. |
| **შორაპნიდან:** | საავგარაკო დილ. | 9 საათ. | 18 წ. |
| **ტყიბულიდან:** | სახალხო საღამოს | 7 საათ. | 39 წ. |
| | სახალხო დილით | 9 საათ. | 38 წ. |

სტამბა „ძმობა„ პუშკინის ქუჩა სახლი, გოკიელოვის.